# ბრძანება

27 ივლისი 2018 წ. თბილისი № 98/01

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დამხმარე პერსონალის შესარჩევი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, სსიპ–„თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების“ მე–14 მუხლის შესაბამისად, სსიპ–თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 24 იანვრის 23/1 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ–თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დამხმარე პერსონალის შერჩევის წესის“ პირველი პუნქტის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დამხმარე თანამდებობების დასაკავებლად, ვაკანტურ პოზიციაზე პირთა შერჩევის, თანამდებობასთან პერსონალის შესაბამისობის შეფასების, საკადრო რეზერვის შექმნის, პერსონალის სამსახურებრივი დაწინაურების შესახებ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორისადმი რეკომენდაციების წარდგენის უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნას მუდმივმოქმედი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1.1 ზურაბ ორჯონიკიძე – ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), კომისიის თავმჯდომარე;

წევრები:

1.2 რიმა ბერიაშვილი – ვიცე–რექტორი;

1.3 ხათუნა თოდაძე – ვიცე–რექტორი;

1.4 ირაკლი კოხრეიძე – ვიცე–რექტორი;

1.5 ალექსანდრე ბუაჩიძე – კანცლერის მოადგილე;

1.6 ვახტანგ ბეროშვილი – ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

1.7 ირინა კაპეტივაძე – რექტორის აპარატის უფროსი;

1.8 თამარ სტეფანიშვილი – საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროტოკოლის სამსახურის უფროსი;

1.9 ლიზა ზაზაძე – ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;

1.10 სოფიო შარიქაძე – იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

1.11 ნინო აფციაური – საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

2. დამხმარე პერსონალის შესარჩევი მუდმივოქმედი კომისია საქმიანობას ახორციელებს სსიპ–თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 24 იანვრის 23/1 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ–თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დამხმარე პერსონალის შერჩევის წესის“ შესაბამისად.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს თსსუ–ის რექტორის ბრძანებები: 2018 წლის 06 თებერვლის N 16/01 „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დამხმარე პერსონალის შესარჩევი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ“, და 2018 წლის 23 მაისის N59/01 „„თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 06 თებარვლის #59/01“ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

4. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება დაეგზავნოს: წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული კომისიის ყველა წევრს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

**რექტორი**